

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 148 (1816) | პარასკევი, 5 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

გათამაშებას კვლავ ლიდერობენ ნ. გაფრინდაშვილი და ე. ბიკოვა

ხარკოვი, XX

ჩემპიონატი

ხარკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). IX ტურში საქართველოს არც ერთ წარმომადგენელს არ დაუშთავერებია პარტია. გაფრინდაშვილმა ზეორიკინსთან გაითამაშა ესპანური პარტიის მწვევე ვარიანტი პაიკის შეწირვით. მაგრამ ზეორიკინამ შეუბოვარი ბრძოლით მოიგერია მრავალრიცხოვანი მუქარები და პარტია ოთხი ეტლის დაბოლოებაში გადაიყვანა. გადადებულ პარტიაში ოსტატს აქვს ზედმეტი პაიკი და პოზიციური უპირატესობა. გაფრინდაშვილს დიდი შრომა დასჭირდება პარტიის ყაიმით დასამთავრებლად.

ენერგიულად ითამაშა კაკაბაძემ რუბცოვას წინააღმდეგ. ძველინდურ დაცვაში ქართველმა მოჭადრაკემ ვაარდგა თეთრების პოზიცია და მძიმე ფიგურებით შეიჭრა მასში. ორი პაიკის მოგების შემდეგ კაკაბაძემ განახორციელა კომბინაცია ხარისხის შეწირვით და ზედმეტი ლაზირით დარჩა. მოსალოდნელია, რომ რუბცოვა აღარ გააგრძელებს წინააღმდეგობას. ტოკონიძეს ფილანოვსკაისთან მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს, ხოლო ჩაიკოვსკაისა უიმედო პოზიცია კუშნირთან.

ზატულოვსკაიამ ძლიერი შეტევით დაამარცხა ბორისენკო, ხოლო მალინოვა-ბოროტარესა და იაკოვიჩნაიევას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

სხვა გადადებული პარტიებიდან ასლანიშნაგია ბიკოვა-გაიპენბერგის შეხვედრა, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონის პაიკი აკლია.

ცხრა ტურის შემდეგ კვლავ წინ არიან ე. ბიკოვა და ნ. გაფრინდაშვილი, რომლებსაც 6-დან 3 შეხვედრა მოაგვს ბურთების შეფარებით 26:13.

ორი შეხვედრა

მოსკოვის პოკისტთა საკლუბო გუნდების ნაკრებმა ინგლისში მესამე მატჩი გამართა გლაზგოს მახლობლად მდებარე ქალაქ პეისლში. ამჯერად ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი გუნდი „პეისლის მეკობრეები“, რომელიც თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია კანადელი პროფესიონალი პოკისტებისაგან.

მატჩის დასაწყისიდანვე მასპინძლებმა ალლო ვერ აუღეს მოსკოველთა ტაქტიკას. სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ალექსანდროვმა, ბრუნოვამ და გრო-

შეგმა ზედიზედ სამი შაიბა გაიტანეს. პირველი პერიოდი დამთავრდა ანგარიშით 4:2 სტუმრების სასარგებლოდ. დარჩენილ ორ პერიოდში აშკარა იყო საბჭოთა სპორტსმენთა უპირატესობა, რომლებმაც გამარჯვებს კიდევ 8:2. მეოთხე მატჩში საბჭოთა სპორტსმენები შეხვედრის ედინბურგის პოკისტებს. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 10:3. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა 4-დან 3 შეხვედრა მოაგვს ბურთების შეფარებით 26:13.



თავისუფალი სახლის ქაზები

ბრძოლა ტანვარჯიშულ იარაღებთან

სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანვარჯიშითა პირველობა.

დამთავრდა ბრძოლა ქალთა შორის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის. ამ ტიტულის მფლობელი გახდა მოსკოველი ტანვარჯიში ე. კალინინა. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი ს. მურატოვა, მესამეზე — პ. ასტახოვა.

გუნდური ჩაფლავი ქალთა შორის გუნდური ადგილები ასე განწილდა: უკრაინა, მოსკოვი, რსფსრ.

გუშინ, გვიან ღამით, შეჯიბრება დამთავრდა.

თ. სანაგლიძე

სურათები: მარცხნივ — საბჭოთა კავშირის ახალი აბსოლუტური ჩემპიონი ე. კალინინა, მარჯვნივ — პ. ასტახოვა.


დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს. კონსტიტუციის, რომელიც კანონმდებლობით განამტკიცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოწაფეები — ჩვენს თვალწინდელ სამშობლოში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული ფაქტი.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მიღება რაც საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე მოხდა 1936 წელს, მოწმობდა იმას, რომ საბჭოთა ქვეყანა შევიდა სოციალისტური მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისმში თანდათანობით გადასვლის ფაზაში. საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციამ, რომელიც ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მთელს მსოფლიოში, თვალნათლივ დაანახა მსოფლიოს ხალხებს, თუ რა კოლოსალური გამარჯვება მოპოვება შეუძლიათ ექსპლოატატორთაგან განთავისუფლებულ მშრომელ ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი კომუნისტური პარტია, რომელიც გზას უნათებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს უკეთესი მომავლისაკენ, ბედნიერებისაკენ.

საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუცია ნამდვილად ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციაა, რომელიც ჩვენი სამშობლოს მშრომელებისათვის უზრუნველყოფს ბედნიერი და სამშური ცხოვრების პირობებს, იგი ფართო გასაქანს აძლევს მშრომელი მასე-

ბის შემოქმედებით აქტივობას თანაოთი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს აქვთ უდიდესი უფლებები შრომისა, დასვენებისა და განათლებისა, მოხუცებულობის პერიოდში და აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად, ქალი და მამაკაცი თანასწორია მოღვაწეობის ყველა სფეროში, დაკანონებულია მოქალაქეთა თანასწორობა ეროვნების, რასის განურჩევლად. ჩვენი საზოგადოების განმტკიცების ინტერესებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, საბჭოთა მშრომელებს აქვთ ფართო უფლებები გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა ჩვენს ქვეყანაში არის ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებები.

საბჭოთა კონსტიტუციის თარიღი დამთავრდა იმ პერიოდს, როცა ჩვენი ხალხი განიცდის დიდ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი ადფროვანებით ეცნობიან და განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმის ისტორიულ დოკუმენტებს: ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თვისების პროექტს „სსრ კავ-





ბაპურიანის პიკნატი

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენ გვწერენ საჭიროა სვადიონი

ონელი მძღვეთლები და ფეხბურთელები ბოლო წლებში რესპუბლიკურ სარბიელზე გამოჩნდნენ, მაგრამ ამ სახეობათა შემდგომ განვითარებას ხელს უშლის სტადიონის უქონლობა. ის მოედანი, რომელიც დღეისათვის არსებობს, უფარგისია.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სტადიონისათვის გამოკუთხა ნაკვეთი, შემოსაკავებლად ბოძებინა ჩასვეს, მაგრამ შემდეგ ნაკვეთზე... ჩაასახლეს მობინადრეები, სტადიონის მშენებლობის განახლებაზე კი ჯერ არავინ ზრუნავს.

დ. ბარიშვილი

ასე ჩოგბურთს უნდა გამოვიყვანო

მიუხედავად იმისა, რომ საამისო ობიექტური მიზეზები არ არის, ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკებში სპორტული საქმიანობა დაბალ დონეზე დგას, ხოლო ზოგიერთში იგი სავსებით მივიწყებულია.

ჩაის ფაბრიკათა სპორტულ საქმიანობაში ერთგვარი გამოცოცხლების პერიოდი იყო გასული წელი. ჩატარდა პირველობა ფრენბურთის ფაბრიკათა შორის, თითქმის ყოველ ფაბრიკაში მოეწყო მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედნები, შექმნილ იქნა სპორტული ფორმები და რბილი ინვენტარი. ეს იყო 1957 წლის ივლის-აგვისტოში. მის შემდეგ კი ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. უკვე დამთავრდა 1958 წლის სპორტული სეზონი. ხალხთა სპარტაკიდა კარზე მოგვადგა, ფაბრიკებში კი არავითარი ღონისძიება არ ჩატარებულა.

ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურულ კოლექტივებს დღესაც არ აქვთ მიღებული სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფაბრიკაში ფიზკულტურის რაიონული კომიტეტიდან მოსულიყო დებულება რომელიმე შეჯიბრებაში მათი მონაწილეობის შესახებ.

ბ. კილაძე

ქუთაისი. დამთავრდა რაიონის საკოლმეურნეო გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში. სოფ. კვანჭირის ფეხბურთელებმა ფინალში ანგარიშით 8:4 დაამარცხეს ქვიტირის საბჭოთა მეურნეობის გუნდი და დაიკავეს პირველი ადგილი.

ჯ. უკლაძე

სამტრედი. დიდი ინტერესი გამოიწვია ნორჩ რკინიგზელ ფეხბურთელთა შეჯიბრებამ, რომელ-

ნ ა რ ე ვ ი

„ჟურნალისტი მოკრივე“

პროფესიონალური რინგის ერთ-ერთი ცნობილი ოსტატთაგანი იყო ინგლისელი მოკრივე ა. ვეიერი. იგი იმდენად დარწმუნებული იყო თავის ძალაში, რომ რაუნდებს შორის შესვენების დროს გაზეთს კითხულობდა.

რა თქმა უნდა, ასეთ საქციელს არავითარი ტაქტიკური სარგებლობის მოტანა არ შეეძლო მისთვის, მაგრამ ერთი კი ცხადია, ა. ვეიერმა მოახერხა ყველა თავისი მოწინააღმდეგის დამარცხება და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება თავის წონაში.

ამის შემდეგ მას „ჟურნალისტი მოკრივე“ შეარქვეს.

პლატინის ურო

ერთმა ცნობილმა ამერიკელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ უროს ტყორცნაში 70-მეტრიანი ზღვარის გადალახვა არც ისე ძნელი საქმეა. საჭიროა მხოლოდ უროს დამზადება პლატინისგან. ვინაიდან პლატინა რკინაზე მეტს იწონის — აცხადებს სპეციალისტი — ბუნებრივია, რომ იგი ზომით ნაკლები იქნება, მაშასადამე, ურო ფრენის პრაქტიკაში ჰაერის ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდება.

ამ პროექტში მხოლოდ ერთი დეტალია „საინოთრო“. პლატინისგან დამზადებული ურო, რომლის წონა 7,275 კგ უნდა იყოს, ეღირება არაჩვეულებრივად ძვირი — ასეულობით ათასი მანეთი და შეიძლება უფრო მეტიც.

ყველაზე მომგებანი

ინგლისური სტატისტიკა აღნიშნავს, რომ სპორტში ყველაზე დიდი შემოსავალი მოაქვს დოლს (დაახლოებით 400 მილიონი გირვანქა სტერლინგით). მეორე ადგილზე შემოსავლიანობის მიხედვით დგას ძალღების დოლი.

საინტერესოა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების დროს

პრესა მეტ ყურადღებას უთმობდა ძალღების დოლს, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებს.

15 წლის ტალანტი

ამერიკელი სპორტსმენების აზრით მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული სიმადლეზე მსტომელი იქნება 15 წლის მოსწავლე ჯ. ფუსტი. ამჟამად იგი რეგულარულად სძლევა 203 სანტიმეტრს.

მაგრამ როგორც ჰაბუჯის მშობლები აცხადებენ, ჯოს ძალიან დიდ დროს ართმევს „მეცნიერება“ და მას უკვე აღარ ყოფნის დრო წვრთნისათვის. სპეციალისტებს ახლა ერთადერთი საზრუნავი აქვთ: როგორმე გამოვლიჯონ შრომისმოყვარე ბავშვი „დამღუპველ სწავლას“.

50-ჯერ ქირურგთან

შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა ჯორჯ იუნგმა ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი მოგონებანი. წიგნში იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ინგლისელთა თამაშის უხეშ, ძალისმიერ მანერას.

იანგი აღნიშნავს, რომ ნაკრებში

ყოფნის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში 50-ჯერ იყო ქირურგთან. ამ რიცხვიდან 7-ჯერ ძალზე სერიოზული ტრავმა ჰქონდა მიღებული და მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძულა ფეხბურთი.

საბედისწირო შეცდომა

მაილანში ფეხბურთელთა ერთ-ერთ მატჩში უთანხმოება მოხდა სტადიონზე. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: ერთი გუნდი შედგებოდა მხოლოდ ცოლშვილიანი მამაკაცებისაგან, მეორე — უცოლოებისაგან. თამაში უცოლშვილოთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა ანგარიშით 1:0. მეორე ტაიმში ცოლშვილიანთა გუნდმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. მსაჯის უსამართლობამ სტენი და ყვირილი გამოიწვია ტრიბუნებზე, მაგრამ ყველას მაინც 11-მა ქალმა (დაზარალებულთა ცოლებმა) გადაქარბა, რომლებიც ტუჩის საღებავებით შეიარაღებულნი გამოვიდნენ მსაჯს და ისე საშინლად გათხუპნეს, რომ იგი იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა.

„მსაჯი პიკასოს სურათივით გამოიყურებოდა“ — აცხადებდნენ მეორე დღეს გაზეთები.



მოსკოვი. „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკის სათბილამურო ბაზა მზად შეხვდა ჯამთრის სეზონს. ბაზა მომსახურებას გაუწევს დასვენებულებს.

სურათზე: ბაზის სპორტ-ინვენტარის გამცემი ნ. შერბაკოვა აწყობს სათბილამურო ფეხსაცმელს ზომების მიხედვით.

5 თბილისი. „ლინაგოს“ 5 დეკემბერი სტადიონი დეკემბერი

ფეხბურთი

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშების ფინალი „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — სპრ (თბილისი) დასაწყისი 14 ს.



შიც მონაწილეობდნენ ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, რუსთავისა და სამტრედიის გუნდები. ფინალში გავიდნენ სამტრედიისა და ბათუმის გუნდები, სადაც ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს სამტრედიელებმა.

შ. ბაბიძე

ნ. ჯინჯიბაძე